კრიპტოვალუტა, როგორც ახალი ინვესტიციების შესაძლებლობის აღქმა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მარიამი ბროლაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო და საფინანსო საქმეში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ ბერიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

მარიამი ბროლაშვილი

03.07.2022

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარების ისტორიის განმავლობაში, ფული იყო გადახდის, გაცვლის, აღრიცხვისა და დაგროვების საშუალება. რაც შეეხება კრიპტოვალუტას, ის არის ციფრული/ვირტუალური ვალუტა, რომელიც ფულის განვითარების ყველაზე თანამედროვე ფორმაა, რომელმაც განვითარების დიდი გზა განვლო და საზოგადოებაში მაღალი აქტუალობით სარგებლობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს კრიპტოვალუტების, როგორც ახალი ინვესტიციის შესაძლებლობის აღქმის დასაბუთება ფინანსურ სფეროში მოღვაწეთა და მკვლევართა მოსაზრებების საფუძველზე. რაც შეეხება საკვლევ კითხვებს იგი შემდეგია: არის თუ არა კრიპტოვალუტა ინვესტიციების ახალი შესაძლებლობა საქართველოში? რამდენად არის ქართველი მომხმარებელი ინფორმირებული კრიპტოვალუტისა და მაინინგ პროცესების შესახებ და გამოხატავენ თუ არა მზაობას მასში თანხის დაბანდებასთან დაკავშირებით? ხოლო სამუშაო ჰიპოთეზა შემდეგია- აღიქვამს თუ არა მომხმარებელი კრიპტოვალუტაში თანხის დაბანდებას, როგორც ახალი ინვესტიციების შესაძლებლობას. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებზე დაყრდნობით. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 250-მა რესპონდენტმა, ხოლო თვისობრივში 5-მა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევ ინსტრუმენტად თვისობრივ კვლევაში არჩეულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკები. ინტერვიუ შედგებოდა ნახევრად სტრუქტურიზებული კითხვარისაგან, რომლის საფუძველზეც ჩატარებული კვლევა ნაკლებად არის ფორმალიზებული. არასტრუქტურირებული ინტერვი კი ეფუძნებოდა ფორმატს, რომლის მიხედვითაც „მოდერატორს" შეეძლო კითხვების ადაპტირება რესპონდენტთა პასუხების საფუძველზე. რაოდენობრივი კვლევა წარიმართა

სტანდარტიზებული და ფორმალიზებული მეთოდოლოგიით, სადაც შესაბამისად გამოყენებულ იქნა სტრუქტურული ინტერვიუ, რომელშიც იყო კითხვების განსაზღვრული რაოდენობა და რესპონდენტთა პასუხები სტანდარტულ და სისტემურ ხასიათს ატარებდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი კრიპტოვალუტას აღიქვამს, როგორც ახალი ინვესტიციების შესაძლებლობას და გამოხატავს მზაობას კრიპტოვალუტაში თანხის დაბანდებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კრიპტოვალუტა, საინვესტიციო, მაინინგი, ბლოკჩეინი, NFT, ციფრული ფული, STEPN, Bitcoin, Ethereum, Bitcoin Cash, Ripple, Litecoin, Cardano, CRIX.

Abstract

Throughout the history of human evolution, money has been the means of payment, exchange, accounting and accumulation. As for cryptocurrency, it is a digital/virtual currency, which is the most modern form of money development, which is the most modern form of money development, which has gone through a long way and enjoys the benefits of high relevance in society. Basedon the above mentioned, the purpose of the research of the work is to substantiate the perception of cryptocurrencies as a new investment opportunity based on the opinion of financial professionals and researchers. As for the research questions, it is as follows: Is cryptocurrency a new investment opportunity in Georgia? How well are Georgian consumers informed abot cryptocurrency and mining processes and do they express their willingnes to invest in it? And the working hypothesis is the following- Whether the consumer perceives investing money in cryptocurrency as an opportunity for new investments. The research was conducted based on quantitative and qualitative methods. 250 respondents took participation in the quantitative research and 5 in qualitative research.Depending on the purpose of the study, in-depth interview techniques were chosen as the research tool in qualitative research. The interview consisted of a semi-structured questionnaire, on the basis of which the research was less formalized. The unstructured interview was based on a format in which the „moderator" could adapt the questions based on the respondents' answers. Quantitative research was conducted with a standardized and formalized methodology, where accordingly a structured interview was used, in which there was a defined number of questions ans the respondents' answers were standard ans systematic. As a result of the research, it was revealed that, a large part of respondents perceive cryptocurrency as a new investment opportunity and express their willingness to invest in it.

Keywords: Cryptocurrency, investment, mining, blockchain, NFT, digital money, STEPN, Bitcoin, Ethereum, Bitcoin Cash, Ripple, Litecoin, Cardano, Crix, investor, investor behavior.